კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა

გამოცდის ფორმატი

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები წერითი სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხები მოიცავს 4 საგნობრივ ბლოკს. ბილეთი შედგება ოთხი ნაწილისგან და ფასდება 100 ქულიანი სისტემით: ტესტი დახურული კითხვებით - 25 ქულა, ტესტი ღია კითხვებით - 25 ქულა, 2 ესე - თითოეული 25 ქულა.

საგამოცდო საკითხები:

ა) შესავალი კულტურის მეცნიერებებში

1. **რა სწავლობს კულტურის მეცნიერებები?** კულტურის ფენომენის მეცნიერული კვლევის თავისებურებანი. კულტურის ფენომენის მნიშვნელობის ზრდა თანამედროვე ეტაპზე.
2. **როგორ ჩამოყალიბდა კულტურის მეცნიერებები.** კულტურის მეცნიერებათა განვითარების ძირითადი ეტაპები
3. **კულტურის ცნება. ტერმინის წარმოშობა და მნიშვნელობის ჩამოყალიბება.** განსაზღვრებათა მრავალფეროვნება და მისი საფუძველი. ა. კრიობერისა და კ. კლაკჰონის კლასიფიკაცია
4. **აქვთ თუ არა ცხოველებს კულტურა და ისტორია?** ადამიანის ორმაგი ბუნება – ბიოლოგიური და კულტურული. კულტურის არაბიოლოგიური ხასიათი და მისი გადაცემის სოციალური მექანიზმები: მიბაძვა (მიმესისი), დასწავლა, გაზიარება. შედარება ცხოველთა სამყაროსთან (ქცევის მემკვიდრეობით ათვისება და კულტურის მემკვიდრეობით გადაცემა)
5. **სოციალიზაცია და იდენტობა.** სოციალიზაციის ცნება. ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაცია. სოციალიზაციის აგენტები. იდენტობის ცნება. კულტურული იდენტობა. იდენტობის დონეები.
6. **ცივილიზაციის ცნება.** ტერმინის წარმოშობა და მნიშვნელობის ჩამოყალიბება. ცივილიზაციის ცნების სამგვარი ინტერპრეტაცია: ევოლუციონისტური, სტადიური, ლოკალურ-ისტორიული. ს. ჰანთინგტონი: „ცივილიზაციათა შეჯახება“?
7. **კულტურათაშორისი ურთიერთობის პრობლემები.** კულტურული შოკი. კულტურათაშორისი ურთიერთობის ბარიერები
8. **კულტურათა ტიპოლოგია.**
9. **კულტურის უნივერსალიები:** ზღაპარი, მითი, რელიგია, მკურნალობა და მედიცინა, სიმბოლო, მაგია, სამართალი, შრომა, რეკრეაცია, თამაში.
10. **სუბკულტურა, კონტრკულტურა. მარგინალობა, ასიმილაცია**. ცნებათა განმარტება. სუბკულტურული ჯგუფები და მათი მიმართება დომინანტ კულტურასთან. კონტრკულტურული მოძრაობის წარმოშობა და დასასრული. მარგინალური ჯგუფები სხვადასხვა საზოგადოებაში და მათდამი დამოკიდებულების პრობლემა. ასიმილაცია - ტერმინის მნიშვნელობის ცვლილება.
11. **ევოლუციონიზმი. დიფუზიონიზმი. ისტორიული პროგრესის იდეა და ევროპაცენტრიზმი. მარქსისტული ფორმაციული ხედვა.**
12. **ისტორიული (ეთნოფსიქოლოგიური) სკოლა** – ფრანც ბოასი. **კულტურული რელატივიზმის თეორია –** მ. ჰერსკოვიცი. **ფუნქციონალიზმი:** ბ. მალინოვსკი, ა. რადკლიფ-ბრაუნი. **სტრუქტურალიზმი –** კ. ლევი-სტროსი.
13. **ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიები.** ნ. დანილევსკი: “რუსეთი და ევროპა”. ო.შპენგლერი: “ევროპის დაისი”. ა.ჯ.ტოინბი: “ისტორიის კვლევა”.

ლიტერატურა:

შესავალი კულტურის მეცნიერებებში, სასწავლო კურსის რიდერი.

ბ) ინტერკულტურული დიალოგის პრინციპები

1. ინტერკულტურული დიალოგის პრობლემები და აქტუალურობა თანამედროვე ეტაპზე
2. კულტურათა ურთიერთქმედების ტიპები
3. ჰეერტ ჰოფსტედე - კულტურის განზომილებანი
4. ედუარდ ჰოლი: პირადი სივრცე. მაღალი და დაბალი კონტექსტის კულტურები
5. კულტურათა შორის ურთიერთობის ბარიერები: ქსენოფობია, რასიზმი
6. პრობლემები სხვა კულტურაში მოხვედრისას, კულტურული ინციდენტები
7. ნეგრიტუდის თეორია
8. თანამედროვე ირანელი მეცნიერები და მწერლები ცივილიზაციათა ურთიერთობის საკითხების შესახებ
9. მულტიკულტურალიზმი: იდეა, პოლიტიკა, პრობლემები

ლიტერატურა:

ინტერკულტურული დიალოგის პრინციპები. სასწავლო კურსის რიდერი

გ) იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში

1. იდენტობის ინტერაქციონისტული და სტრუქტურალისტური ხედვა (იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში. საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის. თბილისი, 2015, გვ. 14).
2. ესენციალიზმი და ნონესენციალიზმი (იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში. საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის. თბილისი, 2015, გვ. 20).
3. კულტურა როგორც სისტემა; კულტურა - მნიშვნელობათა რუკა (იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში. საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის. თბილისი, 2015, გვ. 13).
4. იდენტობა და გლობალიზაცია (იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში. საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის. თბილისი, 2015, გვ. 21-28).
5. საკვები და იდენტობა (იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში. საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის. თბილისი, 2015. გვ, 29-34).
6. იდენტობის პრობლემები პოსტ საბჭოთა საქართველოში (იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში. საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის. თბილისი, 2015, გვ. 35-54).
7. კონფლიქტური იდენტობა და ისტორიის სწავლების პრობლემები (იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში. საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის. თბილისი, 2015, გვ. 89-111).

ლიტერატურა

იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში. საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის. თბილისი, 2015.

დ) ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია. მეხსიერების პოლიტიკა

1. მორის ჰალბვაქსი და კოლექტიური მეხსიერების ცნება.
2. მეხსიერების მედიუმები
3. ევიათარ ზერუბაველი: წარსულის ნარატივის სახეები
4. კულტურული ტრავმა და მისი ძირითადი მახასიათებლები პიოტრ შტომპკას მიხედვით
5. კონფლიქტური ნარატივები და კონფლიქტური მეხსიერება

ლიტერატურა:

ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია, მეხსიერების პოლიტიკა. სასწავლო კურსის რიდერი

კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფ. ნინო ჩიქოვანს.
ელ-ფოსტა: nn_chikovani@yahoo.com, icstbilisi@gmail.com